განკარგულება:**გ-27. 2724150001**
თარიღი:**29/05/2024**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 29

29 მაისი 2024 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნუნუ სუმბაძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე წლის 16 აპრილს შემოვიდა ნუნუ სუმბაძის განცხადება (რეგისტრაციის N11-2624117156-26) სოფელ გულგულაში მდებარე 808 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთისა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 53.09.39.015) და მასზე განთავსებული N1- 418 კვ.მ. და N2 – 34.2 კვ.მ. შენობა-ნაგებობების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 წლის ვადით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით.

ნუნუ სუმბაძეს ჰყავს არასრულწლოვანი შვილი, ოჯახი არის სოციალურად დაუცველი და არ გააჩნია საცხოვრებელი სახლი. ვინაიდან, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების ამ ეტაპზე რაიმე მიზნით გამოყენება არ არის დაგეგმილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერს მიზანშეწონილად მიაჩნია, სოფელ გულგულაში მდებარე 808 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 53.09.39.015) და მასზე განთავსებული N1 - 418 კვ.მ. N2 – 34.2 კვ.მ. შენობა-ნაგებობების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 წლის ვადით ნუნუ სუმბაძისათვის სარგებლობაში გადაცემა.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, მოქალაქე ნუნუ სუმბაძეს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობაში გადაეცეს სოფელ გულგულაში მდებარე 808 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 53.09.39.015) და მასზე განთავსებული N1- 418 კვ.მ. და N2 – 34.2 კვ.მ. შენობა-ნაგებობები.

2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი